UDC 36
SCOPUS CODE 3301
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-279-285

ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამა – სახელმწიფო მართვის სოციალური ეფექტიანობის ერთ-ერთი ინდიკატორი

ხატია ტერტერაშვილი
საჯარო მმართველობისა და ელექრტონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: khatia.terterashvili.wv@gmail.com

რეცენზენტები:

გ. იაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: g.iashvili@gtu.ge

ა. სიჭინავა, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: alekosichi@mail.ru

ანოტაცია. ბოლო ათწლეულია, საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს რეფორმები ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პოლიტიკამ ცალსახად გააუმჯობესა საქართველოში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა, კვლავ რჩება არაერთი გამოწვევა ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კოდექსი ბავშთა უფლებათა შესახებ, პროქტის მიღწევები და მასთან ერთად არსებული გამოწვევები, აგრეთვე ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამა, როგორც სახელმწიფო მართვის სოციალური ეფექტიანობის ერთ-ერთი ინდიკატორი. ამასთან ერთად სტატიაში განხილულია ბავშვთა კეთილდღეობის მრავალინდიკატორიანი საზომი – ბავშვთა მატერიალური და სოციალური დანაკლისის ინდექსი. რომელიც გულისხმობს ბავშვთა მატერიალური და სოციალური დანაკლისის არსებობას, ოჯახის ფინანსური შესაძლებლობის არქონას, რაც არ აძლევს ოჯახს საშუალებას, უზრუნველყოს ბავშვი მისი ზრდა-განვითარებისათვის მინიმალურად აუცილებელი საჭიროებებით (საკვები, ტანსაცმელი, ასაკის შესაბამისი წიგნები, სათამაშოები, გართობა) იგი იძლევა ბავშვთა კეთიდლღეობის უფრო ფართო გააზრების საშუალებას, ვიდრე აბსოლუტური (მონეტარული) სიღარიბე და მოიცავს ხელმისაწვდომობას არა მარტო პირველად საბაზისო საჭიროებებზე, არამედ

ბავშვთა ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის აუცილებელ ელემენტებზე.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა კეთილდღეობა; ბავშვთა უფლებები; ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამა საქართველოში.

შესავალი

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა ახალი კანონი ბავშვთა უფლებების შესახებ, რომლის ფუნდამენტურ მიზნად განისაზღვრა ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ასევე ბავშვთა სრულფასოვანი განვითარებისთვის საჭირო პროგრამების ხელშეწყობა, რომელიც ორიენტირებული იქნება ბავშვთა უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე. კანონის კონცეპტუალური ჩარჩო, ფაქტობრივად, მიჰყვება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებს და ბავშვთა უფლებების კონვენციის ძირითად პრინციპებს, რომლის მიხედვით სახელმწიფოს წარმოექმნება ვალდებულება უზრუნველყოს ბავშვებისთვის სოციალურ პროგრამებზე წვდომა, სათანადო კვება, საცხოვრებელი, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ბავშვთა დაცვა ძალადობის ყველა ფორმისგან, მათ შორის ჩაგვრისა და უგულებელყოფისგან.

ბავშვთა კეთილდღეობას პრაქტიკაში აფასებენ მრავალინდიკატორიანი საზომით, ერთი მხრივ ეს შესაძლოა გაანალიზდეს მონეტარულ პრინციპზე დაყრდნობით, როცა ბავშვთა კეთილდღეობა პირდაპირაა დაკავშირებული საბაზისო საჭიროებებსა და პირველად მოთხოვნებზე, ხოლო მეორე მხრივ ბავშვთა სოციალური და მატერიალური დანაკლისის ინდექსით, რომელიც გულისხმობს ბავშვთა განვითარების ხელშეწყობას ფსიქო-სოციალურ დონეზე.

ძირითადი ნაწილი

ბავშვთა უფლებათა კოდექსის პროექტი, მიღწევები და გამოწვევები. საქართველოს პოლიტიკური სისტემა აერთიანებს არამხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტებს და მმართველობის მექანიზმებს, არამედ იმ სტრუქტურებსა თუ პროცესებს, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ურთიერთობს საზოგადოებასთან. ჩვენს ქვეყანაში საჯარო დაწესებულებების მიერ უფლებამოსილებების გაცვლა, გადაცემა (დელეგირება) ან, თუნდაც გაერთიანება ბუნებრივი რეორგანიზაციის ამსახველი პროცესია და ძირითადად ემთხვევა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების გრძელვადიან მიზნებს, რომელიც საჯარო მმართველობის ეფექტურობის გაზრდითაა განპირობებული. აღნიშნული პოლიტიკის ნაწილია საკანონმდებლო აქტი, ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო და არის ერთგვარი სახელმძღვანელო დოკუმენტი, არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისთვის, არამედ მუნიციპალური და ადმინისტრაციული ორგანოებისთვის, სასამართლოებისა თუ კერძო და საჯარო სუბიექტებისთვის (აქტი მუნიციპალურ დონეზე ამოქმედდა 2020 წლის 1 ივნისიდან).

მუნიციპალურ დონეზე ბავშვთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება და გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების ცხოვრე-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ბაში გატარება ეფუძნება ,,ბავშვთა უფლებათა კოდექსს'' და რეგულირდება 96-ე მუხლით, სადაც მოცემულია ყველა ძირითადი მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების, ასევე კეთილდღეობის ხელშეწყობას, ადგილობრივ მუნიციპალურ დონეზე. კოდექსის მიხედვით მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას ერთგვარი სტრუქტურული ერთეული (შესაბამისი სამსახური), რომელიც შეიმუშავებს ბავშვთა უფლებებსა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ პროგრამებს, უზრუნველყოფს მათ მართვას, ამასთანავე განახორციელებს კონტროლსა და მონიტორინგს საკუთარი (დელეგირებული) უფლებამოსილების ფარგლებში.

საკუთარი უფლებამოსილების ნაწილში, საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემულია, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს პრევენციული ღონისძიებები და რეაგირება ყველა იმ საკითხზე, რომელიც უკავშირდება ბავშვთა უფლებების დაცვასა და კეთილდღეობას, მათგან კი გამოვყოფთ რამდენიმე მიმართულებას, რომელთა შორისაა:

- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება;
- განათლების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება;
- ჯანმრთელობის დაცვის ხელშემწყობი პროგრამები;
- სათანადო საცხოვრისის პირობების დაცვის სტანდარტის შემუშავება;
- ბავშვთათვის უვნებელი და ჯანსაღი გარემოს დაცვა;
- თამაშსა და დასვენების რეკრეაციულ-კულტურულ ღონისძიებებში ბავშვთა მონაწილეობა;
- ბავშვთა სოციალური აქტივობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება;
- ბავშვთა მოხალისეობის ხელშემწყობი პროგრამები.

მუნიციპალური ორგანოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ მუნიციპალურ საქმიანობაში ბავშვთა, როგორც თანაბარ, ისე ეფექტიან მონაწილეობას და უზრუნველყონ მუნიციპალური ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვა. მოქმედი კანონის მიხედვით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში სავალდებულოა განისაზღვროს ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული შესაბამისი ამოცანებით და პრიორიტეტების დოკუმენტით, რომელიც შესამაბისობაში იქნება კონკრეტულ მუნიციპალურ ერთეულთან და საჭიროებებთან.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებასთან ერთად, დელეგირების პროცესში ბუნებრივია მუნიციპალიტეტებს განესაზღვრათ უფლებამოსილებებიც. მათ შორის: მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სამართლებრივ, ადმინისტრაციულ ან სხვა სახის ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებზე, რომელიც პირდაპირ (ან ირიბად) გავლენის შემცველია ბავშვთა ან ბავშვთა ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობაზე.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ერთიანი საკანონმდებლო აქტის შემუშავება და შექმნა პარლამენტის მიერ ცალსახად დადებითი პროცესია, თუმცა საინტერესოა რამდენად ქმედითი და ეფექტური აღსრულების მექანიზმი არსებობს ქვეყანაში კანონში განსაზღვრული ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. პარლამენტის მიერ კანონ-პროექტის მიღებამ უნდა ჩამოაყალიბოს ერთგვარი სამოქმედო ეფექტური ინსტრუმენტი, რათა ქვეყანაში თანაბრად იყოს ბავშვთა უფლებები დაცული.

ბავშვთა კეთილდღეობის შესაფასებლად და უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად, 2022 წელს, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა მასშტაბური კვლევა, ხოლო 2023 გამოქვეყნდა კვლევის ანგარიში, რომელიც სიღრმისეულად აღწერს როგორც ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას, ისე ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის შეფასებას საქართველოში.

კვლევამ ნათლად დაადასტურა არაერთი გამოწვევა, რომელიც საქართველოში არის ბავშვთა კეთილდღეობის მიმართულებით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა კი პროცენტულად რეგიონებზე მოდის. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის პროგრამის განხორციელება უშალოდ მუნიციპალიტეტების პრეროგატივაა, საინტერესოა რამდენად ეფექტურად ხდება მუნიციპალური ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

გამოწვევები, რომელიც კვლევის ანგარიშშია იდენტიფიცირებული, ასახავს კომბინირებული მეთოდით მიღებულ შედეგებს. ერთი მხრივ მატერიალური დანაკლისით გამოწვეულ მდგომარეობას და მეორე მხრივ ბავშვთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, მისი ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შეფასებას.

მათ შორის არის:

1. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა;
2. მძიმე ეკონომიკური ფონის გამო ბავშვები არ წარმოადგენენ პრიორიტეტს ოჯახში და ხშირ შემთხვევაში ისინი ოჯახზე გამოყოფილი შემწეობის მიზერულ ნაწილსაც კი ვერ იღებენ;
3. კვებით უზრუნველყოფის ნაკლებობა;
4. სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ ოჯახებში არსებობს ბავშვთა არა მხოლოდ სრულფასოვანი, არამედ ზოგადად კვების პრობლემები;
5. განმავითარებელი წრეებისა თუ თავისუფალი დროის გატარების შეზღუდვა;
6. ბავშვთა და მოზარდთა არასახარბიელო ფსიქო-ემოციური ფონი და ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია.

ამასთან ერთად 2022 წელს გამოქვეყნდა კვლევის ანგარიში, რომელიც ჩატარდა 'საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში. დოკუმენტში წარმოდგენილი „ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის" განყოფილებების მუშაობის კვლევის ანგარიში ჩატარდა ბავშვთა

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის შეფასების მიზნით იმერეთის რეგიონის ოთხ მუნიციპალიტეტში – ზესტაფონი, საჩხერე, ხარაგაული, ჭიათურა.

დოკუმენტის ანალიზის შედეგად შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე პრობლემური მიმართულება, რომელიც მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესაფასებლად მუნიციპალურ დონეებზე. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალური სერვისები არსებობს, უმეტესწილად ეს საკმარისი არაა ბავშვთა უფლებების ეფექტური და ღირსეული დაცვისთვის. ამასთან ერთად, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ფონი, რომელიც განსაკუთრებულად მძიმე ტვირთია სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ოჯახებისთვის პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთა კეთილდღეობაზე. ამას გარდა, განსაკუთრებით რეგიონებში, დიდ ყურადღებას საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვშვთა უფლებრივი მდგომარეობა. დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების შექმნა ცალსახად პოზიტიურ ქმედებად კვალიფიცირდა, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალურ დონეზე განყოფილების საქმიანობა მეტნაკლებად არაა კამჭვირვალე და ფაქტობრივად მისი ფუნქციამოვალეობები უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

დასკვნა

არსებულ სტატისტიკურ მონაცემებსა და კვლევის ანგარიშებზე დაყრდნობით შესაძლოა დავასკვნათ, რომ საქართველოში ცალსახად არსებობს არაერთი გამოწვევა, ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის მდგომარეობის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ გაზარდოს მიზანმიმართული მოქმედება შემდეგ საკითხებში: კოორდინაცია, მომსახურებათა განვითარება, მონიტორინგი, სოციალურ მომსახურებათა განვითარება, განათლება, ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის შესახებ ცნობიერების გაზრდა, ბავშვთა მხარდაჭერის განყოფილებებისა და პროფესიონალების სისტემური გაძლიერება. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაძლიერება საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად შესაძლოა დავასახელოთ, თანამშრომლობა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია World Vision Georgia-სთან, რომელიც იმერეთის რეგიონში აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოსთან და ახორციელებს ბავშვთა დაცვის მიმართულებით არაერთ პროექტს იმერეთის განვითარეების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით. ამჟამად მუნიციპალიტეტში World Vision Georgia-ს მიერ ხორციელდება პროექტი ,,არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან (NCDC) თანამშრომლობით, ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მხარდაჭერით და ავსტრიის განვითარების ფონდის დაფინანსებით. პროექტის მთავარი მიზნებია: 1. ცნობიერების გაზრდა იმუნიზაციისა და ჯანმრთელობის საკითხებზე. 2. ჯანდაცვის სერვისებისა და ბავშვთა დაცვის სისტემების გაძლიერება. 3. სახელმწიფო დაწესებულებების ქვეშ მყოფი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დახმარება მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისებით და გენდერულად მგრძნობიარე მხარდაჭერით. ამრიგად, ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვა

და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება კომპლექსური საკითხია და მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ ფონთან. შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი ცალსახად უნდა იყოს მიმართული ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ლიტერატურა

1. OECD. (2019). *Results from PISA 2018: Georgia Country Note.* Retrieved from: https://www.oecd.org/ pisa/publications/PISA2018_CN_GEO.pdf.
2. Social Services Agency. (2022). *Statistical Data on Beneficiaries of Targeted Social Assistance.* Retrieved from: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1594.
3. UNICEF. (2022). *Effects of the COVID-19 Pandemic on Georgian Children: Analysis of the Real-time Monitoring Survey/Multiple Indicators Cluster Survey Plus data.* Tbilisi: UNICEF.
4. UNICEF. (2018). *The Wellbeing of Children and Their Families in Georgia: Georgia Welfare Monitoring Survey Fifth Stage 2017.* Tbilisi: UNICEF
5. Geostat. (2019). *Georgia Multiple Indicator Cluster Survey 2018.* Retrieved from: https://www.geostat. ge/en/project/8/mravalindikatoruli-klasteruli
6. UN Inter-agency Group for Child Mortality Estimation. (2022). *Georgia: Under-five Mortality Rate.* Retrieved from: https://childmortality.org/data/Georgia

UDC 36
SCOPUS CODE 3301
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-279-285

Children's Welfare Program – One of the Indicators of Social Effectiveness of State Management

Khatia Terterashvili Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: khatia.terterashvili.wv@gmail.com

Reviewers:
G. Iashvili, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: g.iashvili@gtu.ge
A. Sichinava, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: alekosichi@mail.ru

Abstract. For the last decade, various reforms in the direction of child protection and well-being have been intensively carried out in Georgia. Despite the fact that the current policy has definitely improved the legal status of children in Georgia, there are still a number of challenges in ensuring children's well-being.

The Codex of Children's Rights ratified by the Parliament of Georgia is analyzed highlighting both its positive achievements and challenges. Additionally, the children's welfare program is explored as a pivotal benchmark for assessing the efficacy of governmental social management. Furthermore, the comprehensive metric for assessing the well-being of children – The Child Material and Social Deprivation Index – is discussed. This index signifies the presence of both material and social deficiencies in a child's life, indicating family's insufficient financial means to fulfill the child's fundamental needs for growth and development, encompassing essentials such as nourishment, clothing, age-appropriate literature, toys, and recreational activities. This approach facilitates a more comprehensive understanding of child well-being compared to solely focusing on monetary poverty. It encompasses not only access to fundamental necessities but also factors essential for the child's holistic bio-psychosocial development.

Keywords: children's rights; children's welfare; children's welfare program in Georgia.

განხილვის თარიღი 28.02.2024
შემოსვლის თარიღი 29.02.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024